ხაშურის მოამბე

№21 (492) 9 ივნისი, ორშაბათი, 2025 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

5 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, ლევან გამრეკელის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ 15 საკითხს.

საკრებულომ დაამტკიცა ცვლილებები ხაშურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტსა და ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმაში, აგრეთვე ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში;

დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ 69.08.59.781) პრივატიზაციის გეგმა, ასევე, სურამში მრავალფუნქციური სასტუმროების კომპლექსის მშენებლობისათვის სპს ,,პარკ ჰოტელის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმა;

საკრებულო დაეთანხმა სს „სილქნეტისათვის“ (ს.ნ. 204566978) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების ნაწილის (ინტერნეტ ქსელის მოწყობის მიზნით) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემას.

კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულომ განსაზღვრა ის ადგილები, სადაც სავალდებულოა, ასევე, არასავალდებულოა ავტოსადგურის განთავსება და ავტოსადგურიდან რეისის გასვლა;

ცვლილება შევიდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში;

ძალადაკარგულად გამოცხადდა „ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 აგვისტოს №17 დადგენილება;

საკრებულომ დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო და დებულება;

დედუტატების გადაწყვეტილებით, თანხმობა გაიცა „სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლისათვის” საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის დაღუპული გმირის,

მალხაზ ხარაზიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე.

საკრებულოზე ცნობად იქნა მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნა;

დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა;

აგრეთვე, საკრებულომ მოისმინა და შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი ხაშურში, „ახალი ბანას“ პროექტს გაეცნო

საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრმა კახაბერ გულედანმა, პირველ მოადგილესთან ლევან ზაუტაშვილთან, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან სიმონ გულედანთან, პარლამენტის წევრ ზაალ დუგლაძესთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან თენგიზ ჩიტიაშვილთან ერთად

ქალაქ ხაშურში, „ახალი ბანას“ მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი დაათვალიერა.

„ახალი ბანა“ უნიკალური კომპლექსია, რომლის ფარგლებშიც, ერთ სივრცეში, იგეგმება გაერთიანდეს სამონასტრო, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი სივრცეები. მისი მშენებლობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2017 წელს დაიწყო. პროექტის ავტორია სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე სვიმეონი.

აღსანიშნავია, რომ კომპლექსის მთავარი ტაძარი ანალოგია ტაო-კლარჯეთში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ბანას ტაძრისა — ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

ბანას კომპლექსის მიმდებარედ მდებარეობს ხაშურის ახლადაშენებული პროფესიული სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდებსა და ახალი პროფესიების დაუფლების მსურველებს შესაძლებლობა აქვთ განათლება მიიღონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში.

მეუფე სვიმეონმა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სტუმრებს დეტალურად გააცნო კომპლექსის კონცეფცია, ტაძრის მშენებლობის მიმდინარეობა და მისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა. გარდა ამისა, სტუმრებმა დაათვალიერეს პროფესიული სასწავლებლის ინფრასტრუქტურა და მოისმინეს ინფორმაცია იმ შესაძლებლობებზე, რასაც სასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი	პასუხისმგებელი კომისია საკითხის მომზადებაზე
1	2	3	4	5
1	ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობისა და საქმიანობის შეფასების თაობაზე.		ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი	სოციალურ საკითხთა კომისია
		04.ივლ		
	ბ) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ 2025 წლის პირველ ნახევარში დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშის თაობაზე.		ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი	
				საფინანსო-საბიუჯეტო
				კომისია
2				
	ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობისა და ანგარიშის შეფასების შესახებ.		ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი	სოციალურ საკითხთა კომისია
		01.აგვ		
	ბ)ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის ანალიზისა და კონტროლის განყოფილების მიერ 2025 წლის პირველ ნახევარში დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშის თაობაზე.		ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის ანალიზისა და კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელი	
				საფინანსო-საბიუჯეტო
				კომისია
3			ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი	
	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ 2025 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და საქმიანობის შეფასების თაობაზე.	05.სექ		ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული სიმონ გულედანი რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს შეხვდა

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა განიხილეს, ასევე საუბარი შეეხო რეგიონში დაგეგმილ ღონისძიებებს. მერების თქმით, სამუშაოები განრიგის შესაბამისად მიმდინარეობს და მათი დასრულება დადგენილ ვადებში იგეგმება. გარდა ინფრასტრუქტურული საკითხებისა, ყურადღება გამახვილდა მიმდინარე წლის განმავლობაში დაგეგმილ სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებზე.

როგორც რეგიონის რწმუნებულმა შეხვედრისას აღნიშნა, მსგავსი ფორმატის შეხვედრები უწყებებს საშუალებას აძლევს, ეფექტურად დაგეგმონ საქმიანობა და უზრუნველყონ პრობლემური საკითხების დროული გადაჭრა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი მოადგილეებთან - გიორგი პაპიაშვილთან და ზვიად გოგუაძესთან ერთად, მერიის სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა

შეხვედრაზე, მერმა ხაზი გაუსვა მიმდინარე პროექტების ვადებში დასრულებისა და დღის წესრიგში არსებული პრიორიტეტული საკითხების დროულად გადაწყვეტის მნიშვნელობას.

შესაბამისმა სამსახურებმა მიიღეს დავალება, შეუფერხებლად გაგრძელდეს ყველა ის პროექტი, რომელიც პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

აღნიშნული ხასიათის შეხვედრები, ინტენსიურად იმართება და ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20).

საიმერლო გზა - გზა. მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ,,ამ გზით ჯერ კიდევ XI-XII სს., დავით აღმაშენებლის დროს, ქართლი დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან – იმერეთთან. გზას, როგორც ჩანს აქედან შეერქვა ,,საიმერლო”, ე.ი. იმერეთისაკენ მიმავალი გზა“.

სამება - ადგ; სალოცავი დასავლეთის მხარეს.

სარდოს წყარო - ადგ; წყარო

საციხურის გორა - ადგ., გორაკი, შემაღლებული ადგილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ძველი ნამოსახლერი.

სეფნიაურის მიწა - ადგ; სახნავი, სათესი. მომდინარეობს სეფნიაშვილის გვარიდან, რომლებიც წაღვლში ცხოვრობდნენ. ალექსანდრე დიდის (1314-1346) სიგელში ნათქვამია, რომ წაღვლში მცხოვრებ ,,სეფნიაშვილს თორმეტი კოდი პური, სამოცი კოკა ღვინო [და] ერთი ზურგიელი“ მართებდა ულუმბის მონსტრისადმი .

სოლოლაანთ მიწები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,სოლო კილაძეს ეკუთვნოდა. მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ სოფელში”.

სოლოლაანთ უბანი - ადგ; უბანი

სოლოლაანთ წყარო - ადგ; წყარო სონკას ტბა - ადგ., მცირე ტბა, ჭაობი.

ტალახი მიწები - ადგ; სახნავი დასავლეთით. ,,მიწა მუდმივად ტენიანია”. ,,ტალახიანი, სოველი ადგილია“.

ტატოს კალო - ადგ; სახნავი ჩრდილო-დასავლეთით. ,,ვინ იყო ტატო არ ვიცით“.

ტბები - ადგილი.

ტკოცის ბილიკი - ადგ; გზა, ბილიკი ტკოცისაკენ.

ტკოცურას რუ - ადგ; დაფიქსირებულია რამინ ამირეჯიბის მიერ ღვინია კვინიკაძისათვის 1794 წლის 20 აპრილს მიცემული ვენახის საბუთში: ,,...ესე წიგნი მოგეცი ჩვენ, ამირეჯიბმა რამინმა და ჩემა შვილმა გიორგიმა შენ, ჩემსა კაცსა, კვინიკაძე ღვინიასა და შვილსა შენსა ბერსა და გიორგისა, გლახასა და პეტრესა, შვილიშვილსა შენსა ნინიასა. ასე რომ ჩემი სამკვიდრო მიწა მოგეცი ვენახათ, ორთავ უნდა ავაშენოთ. ეს მიწა არის ამ ადგილს: თავი მულოძის მიწის მიდგმამდინ, ბოლო მახვილაძის მიწის მიდგმამდინ, საზენაქრო გვერდი ტკოცურას რუმდინ, საქვენაქრო გვერდი წისქვილის რუმდინ...“.

ტორიკაული - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,აქ ოდესღაც ცხოვრობდა ვინმე ოსი ტოლიკა, ნაკვეთსაც მისი სახელი შემორჩა ტოლიკაური, ტოლიკას შთამომავლები დღეს სოფელში არავინ ცხოვრობს”.

ფართენას აბანო - ადგილი

ფართენას მიწა - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ნიკო კაპანაძეს ეკუთვნოდა. ნიკოს მეტსახელად ფართენას ეძახდნენ”

ფიჭვების მიწა - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,გადმოცემით აქ ფიჭვის ტყე ყოფილა. ტყე გაუჩეხავთ სახნავი მიწის გაზრდის მიზნით. დღეს ფიჭვის არავითარი ხე არ დგას”.

ფიჭვნარი - ადგ., ტყე

ფერდა ტყე - ადგ; ტყე ჩრდილო-დასავლეთით.

ქვედა უბანი - ადგ; უბანი

ქვედა უბანის წყარო - ადგ; წყარო.

ქვემო უბანი - ადგ; უბანი, იგივე, რაც ქვედა უბანი.

ყვირილა კარი - ადგ., სახნავი, მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,წაღვლის მიდამოებში მტერი შემოიჭრა. მათ ჩუმათ სურდათ წაღვლის ციხის აღება, მაგრამ ხალხმა, რომელიც იქ ახლოს ნაკვეთში მუშაობდნენ თავი საფრთხეში ჩაიგდეს –ყვირილი ასტეხეს, რითაც მეციხოვნენი გააფრთხილეს, მტერმა გლეხები გაჟლიტა, შემდეგ შეაქრვეს ყვირილა კარი”. ,,წაღვლის ციხის სამხრეთის კარი გაღებისას და დაკეტვისას მუდამ ჭრიჭინებდა, ამიტომ იმ ადგილს საითაც ეს კარი გადიოდა ,,ყვირილა კარი”, ე.ი. მყვირალა კარები უწოდეს”.

ყვირილაკარის გზა - ადგ; გზა. მიემართება ყვირილაკარისკენ.

შალაური - ადგ., ტყე.

შალაურის წყარო - ადგ; წყარო.

შალტაშვილის წყარო - ადგ; წყარო.

შეყელაანთ წყარო - ადგ; წყარო.

შუკაკიძის წყარო - ადგ; წყარო.

ჩანდიანი - ადგ; უბანი.

ჩიტაძის ნასახლარი - ადგილი.

ჩოჩქოლიკარი – ადგ; სათესი სამხრეთის მხარეს. აქ მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები. ,,ეკლესიის ეზოში დღეობაზე ხალხი იყო თავმოყრილი. თათრები სცდილობდნენ ჩუმად თავს დასხმოდნენ ხალხს და დაეტყვევებინათ, მაგრამ ვიღაცამ მათი მოახლოება შეამჩნია და შეიქმნა ხალხის ჩოჩქოლი. თავდამსხმელებმა მოახერხეს რამდენიმე კაცის გატაცება, მაგრამ ვინმე გურასპაშვილმა /ასეთი გვარი დღეისთვის სოფელში არ არის/ ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი და გამოუდგა თავდამსხმელებს. მოკლე გზით გაუსწრო და სოფელ წეღვრის მიდამოებში დაუხვდა წინ. გურასპაშვილის დახვედრა ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თათრებმა იარაღი დაჰყარეს და ტყვედ დანებდნენ, ხოლო გატაცებული ხალხი გურასპაშვილმა უკან დააბრუნა. ამის შემდეგ ადგილს, წმინდა გიორგის ეკლესია რომ მდებარეობს, სადაც ხალხმა ჩოჩქოლი ატეხა, შეერქვა ჩოჩქოლი-კარი”.

ცაკოაანთი - ადგ; უანი. ,,აქ სახლობენ ლომიძეები, რომელთა წინაპრის სახინჯარი ცაკო ყოფილა“.

ცაცხვები - ადგ., ტყე, სახნავი, სალოცავი დასავლეთის მხარეს. ,,აქ ცაცხვის ტყე ყოფილა, შემდეგ გაუჩეხავთ. ერთი დიდი ცაცხვი გასული საუკუნის დავლევამდე მდგარა, რომლის დიამეტრიც გადმოცემით 3-4 მეტრს აღწევდა. ცაცხვის ხე წმინდა ხედ ყოფილა მიჩნეული და სოფლის მოსახლეობა იქ მიდიოდა სალოცავად, მიჰქონდათ შესაწირი და ათევდნენ ღამეს. დღეს ცაცხვის ხე აღარ არის”.

ცუცქირიანთ წყარო - ადგ; წყარო.

ძეძვები - ადგილი სამხრეთ-აღმოსვლეთის მხარეს.

წაღვლის თავი - ადგილი დასავლეთის მხარეს. ძველი ნასოფლარი. აქ ციხე-დაბაზი ჰქონია დავიტ აღმაშენებელს. ,,ხოლო სადგური იყო მეფისა წაღვლის თავი” /ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა, გვ. 156/. 1910 წელს ძლიერ დაზიანებული ყოფილა. 30-იან წლებში ციხის შემორჩენილი კლდეები დაუშლიათ და საშენ მასალად გამოუყენებიათ. იგივე განმეორდა 40-იან წლეში. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ბალავრის ნაშთები.

წაღვლის ღელე - ადგ., ღელე

წაღვლის-წყალი - მდინარე, ერთვის ბრეძის-წყალი ,,გამოდის... პერანგას, მოდის სამხრით ბრეძამდე, მერმე აღმოსავლეთით, აბანოს ერთვის ამ წყალს წაღვლის წყალი, და ბრეძას მიერთვის აბანოს-წყალი. ეს გამოსდის მშვილდაურის მთას, მოერთვიან ორნივ ბრეძის წყალს დასავლეთიდამ”.

წაღვლულა - მდინარე, ღელე, იგივე წაღვლის წყალი.

წეღვერი//წეღვერები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. დაფიქსირებულია 1853 წლის 4 სექტემბრის ამირეჯიბების გაყრის განაჩენში. სახელწოდება დაკავშირებულია სოფელ წეღვერთან, რომელიც მის დასავლეთით მდებარეობს. ,,წეღვერი სოფელია. ადგილსაც ვეძახით, წაღვლს ეკუთვნის“.

წეღვრის წყარო - ადგ; წყარო

წვრიმალა//წვრიმანა - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. შემორჩენილია გაჩეხილი ტყის ნაშთი.

ახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,მდინარე წაღვლულას სანაპიროზე ჭალა ყოფილა”.,,აბისამდე გრძელდება, აბისის ტყემდეა. გალავნების ღელის ორივე მხარეს არის“.

ჭალის მიწები - ადგილი, სახნავი. მასზე დავა ჰქონდათ წაღვლელებსა და ტკოცელებს. 1701-1709 წლებით დათარიღებული განჩინებით ადგილი წაღვლელებს დარჩათ. ,,ამასს წინათ წაღვლელნი და ტკოცელნი ჭალას მიწებზედ შეცილებულიყვნენ. მოსულიყვნენ, მეფე გიორგისთან ეჩივლათ. ბატონს გოგია ყორღანაშვილი გამოეგზავნა. მოსულიყო გოგია, უფიცრათ გერიგებინა და ერთმანეთს შესჯერებიყვნენ. ჭალის მიწები წაღვლელთათვის დაენებებინა” .

იქვე ნათქვამია: ,,ახლაც ისე გავარიგეთ. მაშინ ჭალის მიწები წაღვლელებისთვის დაენებებინა და წაღვლელებს მივეც და სამნები ჩაუსხით” .

ჭენეხი - ადგილი

ჭიანაკაკლები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ ძლიერ ბევრი ჭიანი კაკლები იდგა, რომლებიჩ შემდეგ გაუჩეხიათ”.

ჭიანაღელე//ჭიანას ღელე - ადგილი; ღელე. დაფიქსირებულია 1853 წლის 4 სექტემბრის ამირეჯიბების გაყრის განაჩენში.

ჭიჭილაანთ მიწები- ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,იგივე სოლოლაანთ მიწებია. გადმოცემით ჭიჭილა კამეჩს რქმევია. მისი სახელი პატრონზეც გვრცელებულა”.

ჭოშორის ტყე - ადგ., ტყე.

ხარაულაანი - ადგ; უბანი.

ხარაულიანთ წყარო - ადგ; წყარო.

ხარიტონის წყარო - ადგ; წყარო

ხოსიაანთ კაკლები - ადგილი დასავლეთის სასაფლაოს მიდამოები. გადმოცემის თანახმად სახელწოდება დაკავშირებულია ვინმე ხოსიასთან, რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყოლია, მაგრამ რაღაც სენით ცხრავე დაეხოცა. ამიტომ მათი შთამომავლობიდან აღარ არიან, მაგრამ სახელწოდება- ,,ხოსიას კაკლები”, დღემდე შემორჩა.

სოფელი წ ე ღ ვ ე რ ი

არსენას ჭაობი - ადგ., საძოვარი.

არტიების მიწები - ადგ., სათესი.

ბარბაქაძეები - უბანი.

ბესოს მიწები - ადგ., სახნავი.

გელაძისეული - ადგ., სათესი.

გრძელი მიწები - ადგ., სახნავი.

ვაკე მიწები - ადგ., სახნავი.

კატოს ჭაობი - ადგ.,საძოვარი.

კოდის წყარო - ადგ; წყარო.

მელაძეები - ადგ; უბანი.

ნაყიდები- ადგ., სათესი.

ნაცარგორა - ადგ., გორაკი, საძოვარი

პლატონას ღელე - ადგ., სახნავი.

საკარტოფილე - ადგ., სახნავი.

ყორე მიწა - ადგ., სახნავი.

შავლეები - სოფლის მეორე სახელწოდება.

შუა ფერდი - ადგ., საძოვარი.

ჩარექი - ადგ., სახნავი.

ცივი წყარო - ადგ; წყარო, ვენახი

წეღვრის წყარო - ადგ; წყარო.

წიფლნარი - ადგ; საძოვარი.

ჭიჭიკოს ფერდა - ადგ., საძოვარი.

წრომის სათემო საკრებულო

სოფელი ა ხ ა ლ შ ე ნ ი (დოფიძეების უბანი)

აგარების სახნავ-სათესი - ადგ; სახნავი, სათესი დასავლეთით. ,,აქ გაშენებული ყოფილა სოფელი აგარები. ომის დროს მოსახლეობა გადაუსახლებიათ ახალციხის რაიომში“

ბრმახევი - ადგილი

კვრინჩხის ბუჩქნარი - ადგ; სახნავი სამხრეთ-დასავლეთით. ,,ვიდრე სოფელი გაშენდებოდა აქ დიდი რაოდენობით ყოფილა კვრინჩხის ბუჩქნარი, დროთა განმავლობაში ამოუძირკვავთ. ახლა მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი“.

კონიახევა - ადგ., ხევი. ,,კონია თიკუნია კაცისა.“ ,,მას ნასალტევსაც ეძახიან. ამ ადგილას ადრე წვიმების დროს სხვადასხვა მხრიდან პატარ-პატარა ნაკადულები იყრიდა თავს, კონასავით ერთდებოდა და აჩენდნენ ჩაღრმავებულ ადგილებს, რომელიც ხევს მოგვაგონებდა“.

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2025 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილების საფუძველზე, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს ეკონომიკური მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების, საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669, 20.02.2014წ. №189 დადგენილებების და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახური შედგება სამსახურის ხელმძღვანელისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულებისგან-განყოფილებებისაგან:

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება;

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება.

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2025 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით - წიაღის ეროვნული სააგენტოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე შემოსულია 3 მომართვა, უარი-2, 1 მომართვა მოკვლევაშია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებ ის მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია 7 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, მომზადდა თანხმობის 1 პროექტი. 1 პროექტი განხილვის პროცესშია.

ყოველი წლის არა უგვიანეს თებერვლამდე, საკრებულოს სხდომაზე, ვიღებთ ახალ დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2025 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით-ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ- მოძრავი ქონება სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაეცა შემდეგ ა(ა)იპ-ებს

ა(ა)იპ „ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის“ (ს.კ 243918098) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 69.08.58.209.01.505) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე .

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკისათვის (ს.ნ. 217889300) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ 69.08.58.260.01.500) 229.44 კვ.მ

არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ

სახელმწიფო მთავრობის 17.04.2025წ. №677 განკარგულებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ძირითადი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება:

ს/კ 69.08.58.209.01.518 - ხაშურში, ტაბიძის ქ. 2 ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 46,80 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

ს/კ 69.08.58.209.01.519- ხაშურში, ტაბიძის ქ. 2 ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 11,78 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 14.03.2025წ. №1/1-1379 ბრძანებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ, საკუთრებაში განსაკარგავად გადმოგვეცა ავტომანქანა TOYOTA HILUX (სახელმწიფო ნომერი GE-274-BP).

განახლების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 18 ობიექტი. ასევე, დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

დაწყებულია საქმისწარმოება:

შპს „სელფი მობაილ“-ისთვის (ს.ნ 204450584) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, ფართის გადაცემის შესახებ.

სს „სილქნეტი“-სათვის (ს/კ 204566978) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძების ნაწილის (ინტერნეტ ქსელის მოწყობის მიზნით) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, დაწყებულია საქმისწარმოება ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 35 ოჯახზე მათ მიერ დაკავებული ფართის საკუთრებაში გადაცემის პროცედურა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე, განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - 63 შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 20 პროექტი, შესრულდა მიწის ნაკვეთების გაყოფის - 57 და გაერთიანების 35 განცხადება, შეთანხმებულია ენერგო-პრო ჯორჯიას 67 პროექტი, სს სილქნეტის 12, შპს „სოკარ-ჯორჯიას“ 16 და შპს „მაგთიკომი“-ს 2 ობიექტი, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ მომმართვასა და განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 55 ნებართვა, მათ შორის: საცხოვრებელ სახლებზე - 20, კომერციულ ობიექტებზე - 11, დემონტაჟი - 12, ხაზობრივ ნაგებობებზე - 7, საზკვების ობიექტი - 1, საბავშვო ბაღის შენობა - 1, ღობე - 3.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 50 035 ლარი.

განხილვის პროცესშია სივრცითი დაგეგმარების მოსამზადებელი დოკუმენტაცია სამთო სათხილამურო კურორტი „შუანოს ველი''-ს, დასასრულს უახლოვდება სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის განხილვა - დამტკიცება, აგრეთვე, მეორე სტადიაზე ანუ დეტალური გეგმის დამტკიცების ეტაპზე ვართ დაბა სურამში შპს „პარკჰოტელი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში მრავალფუნქციური საკურორტო დასავენებელი კომპლექსის განთავსებისათვის (აქ იქნება: სასტუმროები, კოტეჯები, მინი სტადიონები, აუზები, საბავშვო გასართობი, საპარკინგე და სარეკრეაციო სივრცეები).

სერგო ლალიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

2024 წელს სულ განხორციელდა 302 შესყიდვა, რამაც გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შეადგინა 33 751 775.47 ლარი.

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 206 ხელშეკრულება 3 881 290.77 ლარის შესყიდვაზე

ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულია 96 ხელშეკრულება 29 780 484.70 ლარის შესყიდვაზე.

2024 წელს განხორციელებული ელექტრონული ტენდერების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 111 ტენდერი, საიდანაც 87 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, აღნიშნული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 24 231 378.52 ლარს, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს - 21 973 670.92 ლარს, ეკონომია შეადგენს - 2 257 707.60 ლარს. გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 17 ტენდერი, 6 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო 1 ტენდერი შეწყვეტილია.

2024 წლის განმავლობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან აღსანიშნავია შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:

განხორციელდა გზების კეთილმოწყობის სამუშაოები

დაბა სურამში ტაბიძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის გზების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით - 324 062 ლარი

სოფელ ქინძათისა და სოფელ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების შესყიდვა ღირებულებით -1 086 385 ლარი

სოფელ უწლევში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით - 575 000 ლარი

სოფელ ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩების გზების მოასფალტების

(დასასრული V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

(დასასრული)

სამუშაოების და დაბა სურამში, იტრიაში მამათა მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით - 852 415 ლარი;

სოფელ ახალსოფელში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა - 866 645 ლარი;

სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევის კენ მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 826 125.96 ლარი;

სოფელ ტეზერში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 593 138 ლარი;

სოფელ ქვიშხეთში მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა - 1 238 999 ლარი;

სოფელ ტეზერში მე-2 ქუჩის გზის (სოფელი ყიფიაანთუბანი) რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 564 963.34 ლარი;

დაბა სურამში შიდა საუბნო გზის (კაკალათხევის დასახლება) რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 447 000 ლარი;

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოსფალტების (ხმალაძეების უბანი) სამუშაოების შესყიდვა - 598 969 ლარი;

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების მოასფალტების (ეკლესიამდე მისასვლელი გზა) სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი შესყიდვა) - 669 168.77 ლარი;

სოფელ ცხრამუხაში (მე-2 და მე-11 ქუჩები) შიდა გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი შესყიდვა) - 1 342 861 ლარი;

სოფელ წაბლოვანაში და სოფელ ცედანში მისასვლელი საავტომობილო გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი შესყიდვა) - 2 112 853 ლარი;

ქალაქ ხაშურში, შალვა დადიანის ქუჩის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 374 776.99 ლარი;

დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი შესყიდვა) - 561 683 ლარი;

სოფელ სარმანიშვილის კარში შიდა გზების მონაკვეთების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი შესყიდვა) - 544 043.97 ლარი;

განხორციელდა დაზიანებული ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა:

მდინარე სურამულაზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით - 176 306 ლარით;

სოფელ თაგვეთში დაზიანებული გზის გასწვრივ გზის ნაპირსამაგრი/ ნაპირდამცავი კედლის (გაბიონის) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა - 278 987 ლარი;

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ. ხაშური მდინარე შოლას მონაკვეთი) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 499 390 ლარი;

ქალაქ ხაშურში მდინარე შოლას მარცხენა სანაპიროს ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი შესყიდვა) – 1 075 075 ლარი;

სოფელ ნაბახტევის გზის დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 344 740 ლარი;

სოფელ სატივეში გზის დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 731 514.00 ლარი.

ასევე, გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სხვადასხვა მრავალბინიან სახლებს:;

ქალაქ ხაშურში, ახალციხის ქუჩის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 189 183.21 ლარი;

დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 73 813.41 ლარი;

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩის N3, N4 და N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 189 039.83 ლარი.;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 აპრილის N21 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტით გაფორმებული ორი ხელშეკრულება:

სოფელ სარმანიშვილის კარში შიდა გზების მონაკვეთების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა - 544 043.97 ლარი;

სოფელ ალში გოგილაანთ უბანში შიდა გზის მონაკვეთის რეაბილიტააციის სამუშაოების შესყიდვა - 349 007.00 ლარი;

საქართველო მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ განკარგულებით განხორცილდა 32 შესყიდვა, ჯამური ღირებულებით 658 087 ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 427 452 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 230 635 ლარი.

თინათინ ხაჩიძე,

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 25

2025 წლის 05 ივნისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულოა ავტოსადგურის განთავსება და ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ1“ ქვეპუნქტის, 24-ე ნაწილის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

წინამდებარე დადგენილების დანართის შესაბამისად, განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი იმ დასახლებების ჩამონათვალი, სადაც სავალდებულოა ავტოსადგურის განთავსება და ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი ლევან გამრეკელი

დანართი N1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი იმ დასახლებების ჩამონათვალი, სადაც სავალდებულოა ავტოსადგურის განთავსება და ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

ქალაქი ხაშური, დაბა სურამი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება № 26

2025 წლის 05 ივნისი,ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ2“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 61 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

წინამდებარე დადგენილების დანართის შესაბამისად განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი იმ დასახლებების ჩამონათვალი, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურის განთავსება და ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ლევან გამრეკელი,

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

დანართი N1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი იმ ადმინისტრაციული ერთეულების ჩამონათვალი, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურის განთავსება და ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

ქვიშხეთი, ცხრამუხა, ოსიაური, ხცისი, წრომი, ხალები, გომი,ალი, ფლევი, წაღვლი, ცოცხნარა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 43

2025 წლის 05 ივნისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საკრებულოსათვის წარდგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, 2025 წლის 28 მარტს, რეგისტრირებულია ხაშურში მცხოვრები მოქალაქეების პეტიცია, ხაშურში, შოთა რუსთაველის ქ. N62-ში მდებარე (ს/კ 69/08/63/549), სსიპ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის მოთხოვნით, რასთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ, საკითხის შესწავლის შედეგად, 2025 წლის 22 მაისს, მიღებული იქნა დასკვნა, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნის შესაბამისად, პეტიციასთან ერთად, უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, 86-ე მუხლის 1-ლი პუნქტის,„ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N22 დადგენილებით დამტკიცებული „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 120-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, გ) ქვეპუნქტის, 1206-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და 1207- მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

ცნობად იქნას მიღებული საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 22 მაისის დასკვნა; (თან ერთვის დანართი: 5 ფურცლად)

საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 22 მაისის დასკვნა გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ლევან გამრეკელი,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის
დ ა ს კ ვ ნ ა

ხაშურში, შოთა რუსთაველის ქუჩა N62-ში (ს/კ 69.08.63.549) მდებარე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, 2025 წლის 28 მარტს, „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 1203- ე მუხლით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით, დარეგისტრირდა ხაშურში მცხოვრები (სულ 535 ხელმომწერი) მოქალაქეების პეტიცია, რომლითაც მოთხოვნილია „ იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ საკუთრებაში არსებულ, ხაშურში შოთა რუსთაველის ქუჩა N62-ში (ს/კ 69.08.63.549) მდებარე მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო ნებართვის გაცემაზე უარის თქმა, იმ მოტივით, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ხაშურის ცენტრალურ უბანში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე და ამ ადგილას ,,იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ ორგანიზაციის შენობის ფუნქციონირება, სადაც, დიდი ალბათობით იქნება ხალხმრავალი შეკრებები, კატეგორიულად მიუღებელი იქნება, როგორც მათი უბნისთვის, სამეზობლოსთვის, ასევე ხაშურში მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომ საკითხი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საერთო მნიშვნელობის პრობლემას და ამავდროულად, მშენებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დაპირისპირება მესაკუთრესა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 1204-ე მუხლით დადგენილი წესით პეტიცია გამოქვეყნდა პროაქტიულად და ბეჭდური სახით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 22 აპრილის N33 განკარგულებით, საკრებულოს წევრებისა და სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირებისაგან, პეტიციის ობიექტურად და სრულყოფილად შესწავლის მიზნით, შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, სულ 23 წევრის შემადგენლობით.

პეტიციის შესწავლის მიზნით, სამუშაო ჯგუფმა გამართა 6 საჯარო შეხვედრა, აქედან 2 შეხვედრა სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ხაშურის N3 და სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის ქ. ხაშურის N2 საჯარო სკოლის პედაგოგებთან და მშობლებთან, ხოლო 4 შეხვედრა - დიმიტრი ყიფიანის, კარლო ტაბატაძის, შოთა რუსთაველის, ნიკო ლომოურისა და მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრებ მოქალაქეებთან. საჯარო სკოლების პედაგოგებმა და მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის ირგვლივ არასრულწლოვნებისთვის, საჭიროა შენარჩუნებული იქნეს ნეიტრალური სივრცე და ბავშვები დაცული იყვნენ არაპირდაპირი და ვერბალური ზეგავლენისაგან, ხოლო მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მესაკუთრეთა მხრიდან განხორციელებული პროპაგანდა იწვევს აგრესიასა და მათ შეურაცხყოფას, გარდა ამისა მათი შეკრებები იწვევს/გამოიწვევს ქუჩების გადატვირთვას ფეხით მოსიარულეებისა და ავტომობილების მიერ და საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას (იხ. დროებითი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების N1-N6 ოქმები).

პეტიციასთან დაკავშირებით, დამატებით წარმოდგენილია სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ხაშურის N3 საჯარო სკოლის მშობლების (სულ 678 ხელმომწერი), სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის ქ. ხაშურის N2 საჯარო სკოლის მშობლების (სულ 402 ხელმომწერი), კარლო ტაბატაძის ქუჩის მცხოვრებლების (სულ 124 ხელმომწერი), მოქალაქე მანანა ლობჟანიძის, როგორც უშუალოდ მოსაზღვრე მეზობლის განცხადებები, რომლებითაც, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოითხოვენ მუნიციპალიტეტმა არ გასცეს მოთხოვნილი სამშენებლო ნებართვა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური ქსელი „ფეისბუქის“, „TV ივერიას“ და „ხაშური ჩემი ქალაქიას“ გვერდებზე აღნიშნულ საკითხზე დაფიქსირებულია 328 კომენტარი, რომელთაგან 80% ნეგატიურად ეხმაურება მშენებლობის განხორციელებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ ორგანიზაცია მოწვეული იქნა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე პეტიციის განხილვაში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მიზნით, თუმცა ისინი სამუშაო ჯგუფის არცერთ შეხვედრას არ დასწრებიან. (სამუშაო ჯგუფის მდივანთან სატელეფონო საუბრისას უფლებამოსილმა პირმა უარი განაცხადა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობაზე და განმარტა, რომ მათ ამ საკითხზე მიმართული აქვთ სასამართლოსთვის).

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მოცემულ ლოკაციაზე - შოთა რუსთაველის ქუჩა - დაგეგმილია წყალმომარაგების პროექტის განხორციელება, მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა NAT 220000193 ტენდერის შესაბამისად, მუნიციპალიტეტს 2022 წლის N 22 ხელშეკრულების შესაბამისად, წარმოუდგინა შპს „საგზაო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი“-მა. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების პასპორტის შესაბამისად, რუსთაველის ქუჩის სიგრძე წარმოადგენს 1260 მეტრს. გზის დასაწყისი განიერია (15 მ) შემდეგ თანდათან ვიწროვდება და ცენტრალურ მაგისტრალთან მიერთებაზე 9 მ-ს შეადგენს, ქუჩაზე საგზაო მოძრაობა ცალმხრივი და ინტენსიურად დატვირთულია, შოთა რუსთაველის ქუჩის შუა წელიდან - ნიკო ლომოურის ქუჩიდან ცენტრალურ მაგისტრალამდე (შადრევნის მიმდებარე ტერიტორია). გზის სივიწროვიდან გამომდინარე, ავტოსადგომი სივრცეები გათვალისწინებული არ არის. მრავალი წლის უკან განხორციელებული ურბანული განაშენიანება, რომელიც მოიცავს კერძო საკუთრებაში არსებულ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების საზღვრებს, არ იძლევა გზის გაფართოების და საპარკინგე სივრცეების მოწყობის საშუალებას, როგორც ერთეული, ასევე მასიურად დიდი რაოდენობის ავტომობილებისათვის. აღნიშნულ ქუჩაზე, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას, მოსახლეობის მოთხოვნაა გამოიყოს არსებულ სავალ ნაწილში სამგზავრო-სატრანსპოტო საშუალებებისათვის ინდივიდუალური ზოლი ორივე მიმართულებით, რაც გზის მთელ მონაკვეთზე კიდევ უფრო შეზღუდავს ავტოტრანსპორტისათვის გაჩერების და დგომის შესაძლებლობას. შოთა რუსთაველის ქუჩის შუაწელიდან დასაწყისამდე, დღეის მდგომარეობით, გათვალისწინებულია დგომა-გაჩერებისათვის საჭირო გარკვეული რაოდენობის საგზაო სივრცე, რომელიც ინტენსიურად დატვირთულია და ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს თავისუფალი სივრცეების მოძიება ავტოტრანსპორტის დგომა-გაჩერების დამატებითი სივრცეების უზრუნველსაყოფად, ხოლო მიმდებარე ქუჩების გამტარიანობის გათვალისწინებით, შეუძლებელია საპარკინგე ადგილების მოწყობა. ქალაქ ხაშურში მიმდინარე წყალანირების და წყალმომარაგების პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ ქუჩაზე სამშენებლო სამუშაოების უახლოეს პერიოდში დაწყებას, რომლის დასრულების შემგომ მუნიციპალიტეტი განახორციელებს ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

რაც შეეხება შოთა რუსთაველის ქუჩის კვეთაზე არსებულ, კარლო ტაბატაძის ქუჩას, დასაწყისს იღებს შოთა რუსთაველის ქუჩიდან და მთავრდება ბორჯომის ქუჩასთან დაერთებით. ქუჩის სიგრძე 485 მეტრია, ქუჩის სიგანე მერყეობს 7-დან - 9 მეტრამდე, საგზაო მოძრაობა ორმხრივია. ქალაქში მიმდინარე წყალმომარაგების და წყალარინების პროექტის ფარგლებში, ქუჩა წარმოადგენს საავტომობილო ნაკადების გადანაწილების ერთ-ერთ მარშრუტს, სადაც მოძრაობის სიხშირის დადგენის შემდგომ შესაძლებელია, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, განისაზღვროს მხოლოდ მცირე რაოდენობის გაჩერება-დგომის სივრცეები. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ზემოაღნიშნული წყალმომარაგების პროექტის დასრულების პერიოდში, მუნიციპალიტეტი გეგმავს კარლო ტაბატაძის ქუჩის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას.

დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკითხი წარმოადგენს საერთო მნიშვნელობის პრობლემას, სამშენებლო ნებართვის გაცემის შემთხვევაში იკვეთება შემდეგი რისკები და პრობლემები:

საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის დაუშვებელია რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისთვის გამოყენება სკოლის გარეთაც, ამიტომ მათთვის აუცილებელია ნეიტრალური სივრცე;

მოსახლეობისთვის კატეგორიულად აუცილებელია უსაფრთხო გარემო ფეხით გადაადგილების თვალსაზრისით;

იეჰოვას მოწმეთა „სამეფო დარბაზის‘‘ აღნიშნულ ლოკაციაზე მშენებლობის შემთხვევაში არსებობს კონფლიქტური სიტუაციის საფრთხე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებთან ფიზიკური დაპირისპირება (დანაშაულებრივი ქმედებები);

იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრების რელიგიურმა პროპაგანდამ შესაძლოა გამოიწვიოს არასრულწლოვნებზე ირიბი ზეგავლენა, რაც ზღუდავს მათი რელიგიური რწმენის თავისუფლებას (აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს ორი საჯარო სკოლა);

მოცემულ ლოკაციაზე (შოთა რუსთაველის, კარლო ტაბატაძის და მიმდებარე ქუჩები) დაგეგმილი წყალმომარაგების და წყალარინების პროექტის განხორციელების გამო შეუძლებელი იქნება მძიმე/სპეციალური ტექნიკის გადაადგილება, ასევე ინფრასტრუქტურული მშენებლობის განხორციელება;

მოცემულ ლოკაციაზე (შოთა რუსთაველის ქუჩის აღნიშნული მონაკვეთი, კარლო ტაბატაძის ქუჩა) მიმდებარე ქუჩების გამტარიანობის გათვალისწინებით, შეუძლებელია საპარკინგე ადგილების მოწყობა, ხოლო მოთხოვნილი მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, დაახლოებით 400 მომლოცველის შეკრებებზე გათვლილი შენობა, ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, სატრანსპორტო და მგზავრთა ნაკადით ისედაც გადატვირთულ ლოკაციაზე, ცენტრალურ - შოთა რუსთაველის ქუჩაზე, შექმნის საცობებს და მოხდება დასახლებული უბნის პარალიზება, რაც შეზღუდავს როგორც უბნის მაცხოვრებლების, ისე სხვა მოქალაქეების თავისუფლად გადაადგილებას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დროებითი სამუშაო ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას მერიის შესაბამის სამსახურებს მიეცეთ რეკომენდაცია, რომ არ გაიცეს ხაშურში, შოთა რუსთაველის ქუჩა N62-ში (ს/კ 69.08.63.549) მდებარე მიწის ნაკვეთზე ,,იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“ საოფისე შენობის (დარბაზის) მშენებლობის ნებართვა.

დროებითი სამუშაო ჯგუფის წინამდებარე დასკვნა წარედგინოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რის შემდეგაც გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

ნინო ლიპარტელიანი,
დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

ჯგუფის შემადგენლობა: ცოტნე ნოზაძე, მარინე დიდებულიძე, მიხეილ ჯანაშვილი, ზაზა სხილაძე, მერაბ ცხოვრებაძე, გიორგი პაპიაშვილი, დავით ღვალაძე, სერგო ლალიაშვილი, ლია ჯიქურაშვილი, ზურაბ ჩხიტუნიძე, ნანა ხუციშვილი, თეა ჯაფარაშვილი, ეკატერინე ტყეშელაშვილი, ზაზა გვრიტიშვილი, თამაზ ლაცაბიძე, თამარ გაგლოშვილი, მაია არსენაძე, იზოლდა ბანკანაშვილი, ანნა ნასყიდაშვილი, ლერი ბარბაქაძე, მანანა ლობჟანიძე, მიხეილ ბარბაქაძე.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.